ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ოქტომბრის 15 № 18 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

195. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლის შეცვლის შესახებ.
196. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.
197. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.
198. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მომქმედი საამხანაგო სასამართლოების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

199. საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

195. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და

77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლი შენიშვნებითურთ 1928 წლის დეკემბრის 10-ს რედაქციით (კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 101. მოვალის დაგირავებული ქონება, უპირატეს მოგირავნის პრეტენზიისა, მიიკეცეა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266[2] მუხლში ჩამოთვლილ გადასახდელთა დასაკმაყოფილებლად, უკეთუ მოვალის სხვა ქონება საკმარისი არ არის ამ გადასახდელთა დასაფარავად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივლისის 11.
ტფილისი—სასახლე.

---

196. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლისა და დამატებების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 3, 23, 25, 32, 39, 44, 48, 49, 73, 74, 76, 79, 81, 87, 104, 114, 115, 122, 187, 187[1], 187[2], 188, 231, 232, 233, 234, 235, 238, 242, 255, 256, 262 მუხლები, 266 მუხ. შენიშვნებითურთ, 287 მუხლის შენიშვნა, 289 და 293 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 3. მხარეს შეუძლიან, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს საქმე შესცვალოს სარჩელის საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა. სასამართლოზეა დამოკიდებული, მიიღოს თუ არა მხარის უარი მის უფლებაზე ან ამ უფლების სასამართლოში დაცვაზე; ამასთანავე, უკეთუ სასამართლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ უარს მიიღებს, მხარე დაჰკარგავს უფლებას კვლავ აღძრას იმავე საფუძველზე დამკარებული სარჩელი.

შენიშვნა 1. უკეთუ სასარჩელო მოთხოვნის გადიდების გამო შეიცვლება საქმის ქვემდებარეობა, დაცულ ინდა იქნეს ამა კოდექსის 40 და 104[1] მუხ. გათვალისწინებული წესი.

შენიშვნა 2. მხარეებს შეუძლიანთ საქმის ყოველ სტადიაში, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, განაცხადონ, რომ მათ საქმე შერიგებით გათავეს; ამასთანავე, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ შერიგების პირობებში არის კანონის საწინააღმდეგო რამ, არ დაამტკიცებს ამ შერიგებას.

მუხ. 23. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად განიხილავს: ა) ყველა საქმეს ისეთი სარჩელის გამო, რომლის ფასიც 100 მანეთის არ აღემატება და წანაედის ყველა იმ საქმეს, რომლის ფასიც 15 მან. აღემატება; ბ) სარჩევარს სასამართლო გადაწყვეტილების აღმასრულებელის მოქმედებაზე—(270 მუხ.); გ) განსაკუთრებული წესით საწარმოებელ ყველა საქმეს (194, 195 და 198 მუხ., 199—203, 230[1-14] მუხ., 231 მუხლის მე-2 ნაწ., 234[1-12], 234[13-16]), გარდა რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ აღძრული საქმისა, რომელიც ექვემდებარება სამაზრო სასამართლოს (226—230 მუხ.), ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სახალხო მოსამართლის მოქმედებაზე აღძრული სარჩევრის საქმისა (231 მუხ. 1 ნაწ.) და კერძო ფიზიკური და იურიდიული პირის არაშემძლეობის საქმისა (სამოქ. საპრ. კოდ. 266[5] მუხ. შენიშვნის დანართი) და დ) სხვა საქმისა, რომლის განხილვა კანონით ცალკე აღნიშნულ შემთხვევაში, დაეკისრება სახალხო მოსამართლეს.

მუხ. 25. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლო კოლეგიას ექვემდებარება საქმე იმ სარჩელის გამო, რაც აღძრული იქნება სახალხო კომისარიატის ან მისი თანასწორი ცენტრალური დაწესებულებისა და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ტფილისის საბჭოს წინააღმდეგ.

შენიშვნა 1. უზენაეს სასამართლოს (მის პლენუმს) შეუძლიან ცალკე საქმე ან საქმეთა კატეგორია გადასცეს განსახილველად სათანადო სამაზრო სასამართლოს, მხარეთა სამყოფელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში—სახალხო სასამართლოსაც, ქვემდებარეობის საერთო წესისამებრ, სარჩელის ფასისა და საქმის ხასიათის მიხედვით.

შენიშვნა 2. უკეთუ ის სარჩელი, სადაც მხარედ სახალხო კომისარიატი ან მისი თანასწორი ცენტრალური დაწესებულებაა, თავისი შინაარსით დაკავშირებული არ არის ამ დაწესებულების პირდაპირ ფუნქციებთან, არამედ აღძრულია დაწესებულების დამხმარე ან სხვა რამ მოქმედებასთან, აგრეთვე მისთვის სამეურნეო მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებით,—ეს სარჩელი, მისი ფასისდამიხედვით, ექვემდებარება სახალხო ან სამაზრო სასამართლოს.

მუხ. 32. უკეთუ სახალხო მოსამართლე, მაზრის მოსამართლე ან სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარე, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე სცნობს, რომ სასარჩელო განცხადება შეტანილია არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემდებარეობისამებრ,—იგი შეტანილ განცხადებას ყველა დანართით და თავისი რეზოლიუციით დაამრუნებს სათანადო სასამართლოსათვის წარმოსადგენად. სარჩელის არაქვემდებარეობის გამო სასარჩელო განცხადების არმიღება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის წესით უზენაეს სასამართლოში (ამა კოდ. 249 მუხ.).

შენიშვნა. უკეთუ სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოირკვევა, რომ იგი ამ სასამართლოს არ ექვემდებარება, მისი წარმართვის საკითხი გადაწყდება ამა კოდექსის 104[1] მუხ. წესისამებრ.

მუხ. 39. სასამართლო ბაჟის რაოდენობას იმ სარჩელისათვის, რომლის შეფასებაც მისი აღძრისთანავე საძნელოა, წინასწარ განსაზღვრავს სახალხო მოსამართლე, მაზრის მოსამართლე ან სათანადო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ეს რაოდენობა არ შეიძლება 2 მანეთზე ნაკლები იყოს,—შემდეგში კი, დამატებით გადახდევინებულ უნდა იქნეს ბაჟი სარჩელის ფასის მიხედვით.

მუხ. 44. სასამართლო ბაჟი და საქმის სხვა გამოსაღები არ გადახდება:

ა) იმ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს (მათ შორის კომუნალურს), რომელიც ინახება საერთო სახელმწიფო ან ადგილობრივი სახსარით სახარჯთაღრიცხვო წესისამებრ;

ბ) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და მის მიერ გაერთიანებულ კავშირებს;

გ) იმ საზოგადოებას და ორგანიზაციას, რომელიც, მისი წესდების და დებულების მიხედვით ან მთავრობის დადგენილებით, განთავისუფლებულია სასამართლო ბაჟისა და სხვა გამოსაღებისაგან;

დ) იმ მოსარჩლეს, რომელიც სარჩელს აღძრავს ყოველგვარი სამუშაო ხელფასის შესახებ, სარჩოს შესახებ და იმ გასამრჯელოს გადახდევინების შესახებ, რაც ავტორს (და მის მემკვიდრეებს) ერგება მისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, კერძოდ—თავისი განსაკუთრებული უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებისათვის ან საავტორო უფლების დარღვევისათვის; აგრეთვე იმ გამომგონს და სამრეწველო ნიმუშის ავტორს და მათ მემკვიდრეებს (იურიდიულ პირთ გარდა), რომელნიც მოითხოვენ, რომ მიეცეს მათ გასამრჯელო რეგისტრაციაქმნილი გამონაგონისა და სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისათვის,—აღნიშნული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რაც 6.000 მან. არ აღემატება;

ე) იმ მშრომელს, რომელიც საქმის გამრჩევი სახალხო მოსამართლის ან სასამართლოს დადგენილებით ისეთ პირად იქნება ცნობილი, რომელსაც სახსარი არა აქვს სასამართლო ბაჟი გადაიხადოს.

მუხ. 48. სამოქალაქო საქმის საწარმოებლად ხაზინის სახსრიდან გაწეული ხარჯი, კერძოდ მოწმეების და ექსპერტების დასაბარებელი ხარჯი და ექსპერტების გასამრჯელო, უკეთუ ეს ხარჯი 1 მანეთს აღემატება, უნდა გადაჰხდეს თვითოეულ მხარეს სარჩელის იმ ნაწილის პროპორციანალურად, რა ნაწილიც მის წინააღმდეგ გადაწყდა. ხოლო, უკეთუ აღნიშნული ხარჯი 1 მანეთს არ აღემატება, იგი მიიღება ხაზინის ანგარიშზე.

მუხ. 49. სარჩელის ფასის არასისწორით განსაზღვრისა და დაწესებული გამოსაღების არასისწორით გამოანგარიშების გამო შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი (249 მუხ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 73. უკეთუ სასამართლოს არა აქვს ცნობა მოპასუხის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის შესახებ (ამა კოდ. 27 მუხ.), სასამართლოს უწყება და შეტყობინება მის სახელზე გაიგზავნება იმ ადგილას, სადაც მოპასუხის ქონებაა ან სადაც, სასამართლოს ცნობით, მოპასუხე უკანასკნელად სცხოვრობდა; უწყება და შეტყობინება ჩაბარდება მოპასუხის ქონების გამგეს, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ან და სახლის სამოურაოს, ხოლო უკეთუ ისინი არ აღმოჩნდებიან, მილიციას, სათემო აღმასრულებელ კომიტეტს ან სოფლის საბჭოს.

შენიშვნა. სასამართლოს შეუძლიან იმ მოპასუხის ინტერესების დასაცავად პროცესში, რომლის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის შესახებ მას ცნობა არა აქვს, დაუნიშნოს ამ მოპასუხეს ოფიციალური წარმომადგენელი და მიანიჭოს მას უფლება შეასრულოს ყველა საჭირო პროცესუალური მოქმედება.

მუხ. 74. სასამართლოს შეტყობინება სათანადო პირს პირველად გაეგზავნება მხარის მიერ ნაჩვენები მისამართით. უკეთუ ამ მისამართით დაბარებული პირი არ აღმოჩნდა, ეს გამოეცხადება მხარეს, რომელმაც სასამართლოს სწორი მისამართი არ მისცა, და დაენიშნება მას ვადა ახალი მისამართის წარსადგენად.

მუხ. 76. სამოქალაქო საქმის გარჩევას სასამართლო შეუდგება წერილობითი განცხადების მიხედვით; სიტყვიერი განცხადება შეიძლება მხოლოდ იმ საქმის გამო, რაც სახალხო სასამართლოს და სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესსიაში უნდა გაირჩეს.

მუხ. 79. ისეთი საქმის გამო, რაც სამაზრო სასამართლომ ან უზენაესმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს, სასარჩელო განცხადებას და ყველა დოკუმენტს დაერთვის იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მეორე მხარეზე.

შენიშვნა. უკეთუ სარჩელი აღიძვრის სახალხო სასამართლოში და მოპასუხედ სახელმწიფო დაწესებულებაა ან სახელმწიფო საწარმო, წარილობითი სასარჩელო განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს მისი ასლი მოპასუხე მხარისათვის, ხოლო განცხადებასთან დართული დოკუმენტების ასლების წარდგენა სავალდებულო არ არის. ამა შენიშვნის წესი არა ვრცელდება სამუშაო ხელფასის შესახებ შეტანილ სასარჩელო განცხადებაზე.

მუხ. 81. სახალხო ან სამაზრო მოსამართლეს ან სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლიან, საქმის არსებითად განხილვამდე, მოსთხოვს მხარეებს მათ ხელთ ქონებული დამამტკიცებელი საბუთები, რისთვისაც საჭიროებისდა მიხედვით, შეუძლიან დაიბაროს მხარეები; იგი ერთპიროვანად გადასწყვეტს კერძო შუამდგომლობას მოწმეთა დაბარების შესახებ, დოკუმენტებისა და ცნობების მისაღებად მუშაობის მიცემის შესახებ, ამ დოკუმენტებისა და ცნობების გამოთხოვისა და სხვ. შესახებ.

მუხ. 87. თხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, წარდგენისთანავე, აგრეთვე წარდგენის შემდეგაც, უკეთუ საქმის გადადება შეუძლებელია, გადასწყვეტს ერთპიროვანად სახალხო ან მაზრის მოსამართლე ან და სასამართლოს თავმჯდომარე მოწინააღმდეგე მხარის დაუბარებლად.

მუხ. 104. სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს საქმის გადატანა სხვა სასამართლოში:

ა) უკეთუ სცნობს, რომ უწყებული საქმის გარემოებათა მიხედვით სარჩელის გადაწყვეტა უფრო მოსახარხებელი იქნება იმ ადგილას, სადაც მთავარი შესამოწმებელი მოქმედება უნდა მოხდეს, ან საეთოოდ, სხვა სასამართლოში და არა იმ სასამართლოში, რომელიც მოსარჩლემ აირჩია (31 მუხ.);

ბ) უკეთუ მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილიც სასამართლომ არ იცოდა (27 მუხ.), მოითხოვს საქმის გადატანას იქ, სადაც იგი ნამდვილად სცხოვრობს, და ეს თხოვნა სასამართლოს მიერ შეწყნარებული იქნება;

გ) უკეთუ სახალხო მოსამართლე ჩამოცილებულ იქნა (105 მუხ.) და მისი შეცვლა ამავე სასამართლოში ძნელია.

მუხ. 114. სასამართლო მოვალეა საქმე შეაჩეროს:

ა) უკეთუ მოდავე გარდაიცვალა;

ბ) უკეთუ საჭირო იქნება მოდავის მიცემა მეურვეობაში, ან უკეთუ მას სხვაგვარად შეეზღუდა უფლება ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში;

გ) უკეთუ მოისპობა იმ იურიდიული პირის არსებობა, რომელიც საქმეში მხარედ არის;

დ) უკეთუ მოდავე წითელი არმიის მომქმედ ერთეულში იქნება გაწვეული;

ე) უკეთუ გასარჩევი საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრე, არ გადაწყდება სხვა საქმე, რაც ირჩევა სამოქალაქო, სისხლის სამართალის ან ადმინისტრატიული წესით;

ვ) უკეთუ მოსარჩელე არ დაასახელებს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილს, როდესაც იგი სასარჩელო განცხადებაში ნაჩვენები მისამართით არ აღმოჩნდება (77 მუხ. „ვ“ პუნქტი), და უკეთუ მოსარჩელე არ მოითხოვს მოპასუხის დაბარებას ამა კოდექსის 73 მუხლის წესით.

მუხ. 115. ამის გარდა, სასამართლოს შეუძლიან საქმე შეაჩეროს:

ა) უკეთუ მოდავენი ურთი-ერთშორის შეთანხმდებიან;

ბ) უკეთუ ერთ-ეთი მოდავეთაგანი გაწვეული იქნება წითელ არმიაში ან სხვა სავალდებულო ბეგარის მოსახდელად;

გ) უკეთუ უწყებების ჩაბარების მიუხედავად, არც ერთი მხარე არ გამოცხადდება სხდომაზე, საქმის გადასაწყვეტად კი საქმეში არავითარი მასალა არ იქნება.

მუხ. 122. სასამართლოს, საკუთარი ინიციატივით ან მხარის თხოვნით, შეუძლიან წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთების გამო მოახდინოს საჭირო შემამოწმებელი მოქმედება: დაათვალიეროს ადგილი, დაიბაროს მცოდნე პირნი (ექსპერტები), დაიბაროს და დაჰკითხოს მოწმენი და შემამოწმოს წერილობითი დოკუმენტები.

შენიშვნა. სასამართლოს შეუძლიან ამა მუხლში აღნიშნული შემამოწმებელი მოქმედების შესრულება დაკაცსროს თავმჯდომარეს. ამ უკანასკნელს სასამართლოს ასეთი დავალების შესრულების დროს მოწმეთა და მცოდნე პირთა (ექსპერტების) ჩამოცილებისა და დაჯარიმების საკითხში აქვს იგივე უფლება, რაც სასამართლოს.

მუხ. 187. დაუყოვნებლივ შესრულებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება: ა) სარჩელზე სამუშაო ხელფასის შესახებ იმ ნაწილის მიმართ, რაც მომუშავის თვიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშოვარს არ აღემატება, სარჩელზე ალიმენტებისა და იმ გასამრჯელოს შესახებ, რაც ავტორს (და მის მემკვიდრეებს) ერგება განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის; ბ) სარჩელზე, რომელიც ემყარება ისეთ დოკუმენტს, რასაც შეიძლება სანოტარო კონტორაში სააღსრულებლო წარწერა გაუკეთდეს; გ) მოპასუხის მიერ სასამართლოში, საქმის გარჩევის დროს, ცნობილ სარჩელზე მთლად ან ამ სარჩელის იმ ნაწილზე, რასაც იგი სცნობს.

მუხ. 187[1]. ამის გარდა, სასამართლოს შეუძლიან მოსარჩელის თხოვნით წარმართოს დაუყოვნებელი შესრულებისათვის: ა) გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან ისეთ დოკუმენტს, რომელიც, თუმცა დამოწმებული არ არის, მაგრამ ცნობილია მოპასუხის მიერ, უკეთუ კანონის თანახმად საველდებულო არ არის, ბათილობის რიდით, ამ დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმება; ბ) გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოთხოვნას სადგომის განთავისუფლების შესახებ ქირავნობის ვადის გასვლის გამო ან განსაკუთრებულად აღნიშნულ შემთხვევაში; გ) გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში როდესაც შესრულების დაგვიანებამ, საქმის ვითარების მიხედვით, შეიძლება თვალსაჩინო და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს გადახდევინების საქმეს ან თვით შესრულებაც შეუძლებელი გახადოს; დ) გადაწყვეტილება სარჩელზე საშუშაო ხელფასის შესახებ იმ ნაწილის მიმართ, რაც მუშაკის თვიურ საშოვარს აღემატება.

ამა მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, გარდა „დ“ პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა, სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს მოსარჩელის მიერ უკუქცევითი მოთხოვნის უზრუნველყოფა იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნება.

მუხ 187[2]. სახელმწიფო დეწესებულებისა და საწარმოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია სარჩელზე სამუშაო ხელფასის ან იმ გასამრჯელოს შესახებ, რაც ერგება ავტორს (ან მის მემკვიდრეებს) ავტორის განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, აგრეთვე სარჩელზე, რომელიც ემყარება პროტესტექტმნილ თამსუქს ან გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან ან და საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის ოპერაციიდან.

მუხ. 188. სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სასამართლოში დადებული შერიგების ხელშეკრულებისა ან და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, მხარის თხოვნით, სასამართლო გასცემს აღსრულების ფურცელს.

მუხ. 231. საჩივარი ნოტარიუსისა თუ სახალხო მოსამართლის ისეთ მოქმედებაზე, რაც სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაშია გათვალისწინებული, ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 234 მუხლში აღნიშნულ შემთხვევების გამოკლებით, მონაწილე პირის მიერ შეიტანება სამაზრო სასამართლოში; მაზრის მოსამართლე ამ საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, დაინტერესებულ პირთა დაბარებით და დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივარი სათემო აღმასრულებელი კომიტეტის სანოტარო მოქმედებაზე ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო შეიტანება იმ სახალხო მოსამართლესთან. რომლის რაიონშიაც აღნიშნული სათემო აღმასრულებელი კომიტეტია; ამ საჩივარს სახალხო მოსამართლე განიხილავს ერთპიროვანად, დამამტკიცებელი სამუთების შემოწმებით და დაინტერესებულ პირთა დაბარებით.

შენიშვნა. სანოტარო კონტორის მიერ საწარმოებლად დამამტკიცებელი სამუთების უზრუნველყოფის მიღება არ განისაჩივრება.

მუხ. 232. საჩივრის შესატანად დაწესებულია ორი კვირის ვადა იმ დღიდან, როდესაც მომჩივანი გაიგებს ნოტარიუსის ან მისი მენაცველ ორგანოს მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში, რომლის მოქმედებაც განსაჩივრებულია; ამ ორგანომ, არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღების დღიდან, საჩივარი საქმის არსებითი ახსნა-განმარტებით და საქმის დედნის ან საჭირო დოკუმენტების ასლების თანდართვით, უნდა წარუდგინოს სასამართლოს. საჩივრის შეტანა შეიძლება უშუალოდ სათანადო სასამართლოშიაც.

მუხ 233. მაზრის მოსამართლის ან სახალხო მოსამართლის დადგენილება, რაც გამოტანილ იქნება ამა კოდექსის 231—232 მუხ. წესისამებრ, განისაჩივრება საკასაციო წესით.

მუხ. 234. უარი სააღსრულებლო წარწერის გაკეთებაზე შეიძლება კრედიტორის მიერ განსაჩივრებულ იქნეს ამა კოდექსის 231—232 მუხ. წესისამებრ. ასეთი საჩივრის განხილვის დროს დაიბარება მხოლოდ მომჩივანი.

სააღსრულებლო წარწერაზე დამყარებული მოთხოვნის შესახებ დავის აღძრა მოვალეს შეუძლიან მარტოოდენ სასარჩელო წესით.

უკეთუ სარჩელი აღძრულია, სასამართლოს შეუძლიან, სარჩელის უზრუნველყოფის წესისამებრ, შეაჩეროს გადახდევინება, რაც სააღსრულებლო წარწერის ძალით უნდა მოხდეს.

მუხ. 235. საქმეში მონაწილე პირს შეუძლიან სახალხო ან სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანოს საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში. საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში და მას უნდა დაერთოს იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მოწვინაღმდეგე მხარეზე.

მუხ. 238. საჩივრის შესატანად დაწესებულია: სახალხო სასამართლოსი და სახალხო სასამართლოს შროშის საქმეთა სესიის გადაწყვეტილებაზე—ორი კვირის ვადა, ხოლო სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე—ერთი თვის ვადა.

მუხ. 242. საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე განიხილება მხარეთა დაუბარებლად, ხოლო, რათა საქმის განხილვის დრო მათ ეცნობოს, განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია, არა უგვიანეს ორი კვირისა სამსჯავრო სხდომამდე, გამოიკიდება სასამართლოს სადგომში. ამა მუხლში აღნიშნული სიის ასლები დაეგზავნებათ საქმეების გადამწყვეტ სასამართლოებს იმ ვარაუდით, რომ ეს სიები ადგილობრივ სასამართლოში გამოიკიდოს არა უგვიანეს ორი კვირისა სამსჯავრო სხდომამდე.

შენიშვნა 1. ტფილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოს და ქალაქ ტფილისის სარაიონო სასამართლოებს ამა მუხლში აღნიშნული სიების ასლი არ დაეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 255. ქვემოაღნიშნულ მუხლებში განსაზღვრული წესით აღსრულებულ უნდა იქნეს:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმის გამო;

ბ) სანოტარო კონტორის სააღსრულებლო წარწერა;

გ) სასამართლოს დადგენილება განსაკუთრებული წესით საწარმოებელი საქმის გამო და სარჩელის უზრუნველყოფის გამო;

დ) სასამართლოს დადგენილება ჯარიმის დადების გამო;

ე) სასამართლოს დადგენილება, რაც გამოტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121 და 330 მუხ. ძალით;

ვ) საარბიტრაჟო კომისიისა და საადგილმამულო-სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებანი, რაც გამოტანილია მათ დებულებებში გათვალისწინებული წესით, და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება;

ზ) შემოსავლებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, რომლებითაც მომუშავის ან პროფესიონალური კავშირის სასარგებლოდ გადაწყვეტილია განსაზღვრული ფულადი თანხა.

შენიშვნა. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი განისაზღვრება საათანადო სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური შეთანხმებით.

მუხ. 256. სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელი პირი სააღსრულებლო მოქმედებას შეუდგება გადამხდევინებლის სიტყვიერი ან წერილობითი განცხადებით, სათანადო წესის თანახმად გაცემული აღსრულების ფურცლის ან შრომის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე (ამა კოდ. 255 მუხ. „ბ“ პუნქ.).

მუხ. 262. აღსრულების დამთავრებისას, სასამართლოს აღმასრულებელი აღსრულების ფურცელს და შრომის ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს წარწერით, რომ აღსრულება მოხდა, წარუდგენს, საქმისათვის დასართავად, იმ დაწესებულებას, ვინც ეს ფურცელი ან დოკუმენტი გასცა.

სანოტარო კონტორის სააღსრულებლო წარწერის თანახმად შესრულებულ გადახდევინებას სასამართლოს აღმასრულებელი წარწერით აღნიშნავს თვით დოკუმენტზე; ამასთანავე, უკეთუ გადახდევინებით მთლად დაიფარება დოკუმენტში გათვალისწინებული ვალდებულება, დოკუმენტის დედანი მოვალეს გადაეცემა.

მუხ. 266. უკეთუ დაგროვდა რამდენიმე კრედიტორის პრეტენზიები და შემოსული თანხა საკმარისი არ არის მოვალეზე მიქცეული ყველა გადასახადის დასაკმაყოფილებლად, გადასახდელის გადახდევინებისა ან გადახდევინებული თანხის განაწილებისათვის კანონით უფლებამოსილი ორგანო (სასამართლო დაწესებულება, სასამართლოს აღმასრულებელი, მილიცია, სალიკვიდაციო ორგანო და სხვ.) დააკმაყოფილებს განცხადებულ პრეტენზიებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266^1, 266^2, 266^3, 266^4 და 266^5 მუხლებში აღნიშნული წესისამებრ.

მუხ. 287. შენიშვნა. უკეთუ საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება არ გადაიხდის მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას მშრომელის ან პროფესიონალური კავ-

შირის სარჩელის გამო, ან და ავტორის სარჩელის გამო იმ გასამრჯელოს შესახებ, რაც მას ერგება მისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს არა მარტო იმ თანხებზე, რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვის სათანადო თავებსა და პარაგრაფებში, არამედ იმ თანხებზედაც, რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვის ყველა სხვა თავსა და პარაგრაფში. ამის გარდა, ის თანამდებობის პირი, რომლის ბრალითაც შეფერხდა ფულის გადახდა, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

მუხ. 289. ყველა დაწესებულება და საწარმო, როგორც სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი, ისე კერძო, აგრეთვე ცალკე პირი ვალდებულია მისცეს დანიშნულ ვადაზე სასამართლოს აღმასრულებელს, მისი მოთხოვნისამებრ, ცნობა იმის შესახებ, მსახურობს თუ არა მასთან ესა თუ ის მოვალე და რამდენი ერგება მას მიმდინარე თვეში ყოველგვარი, როგორც მუდმივი, ისე ერთდროული გასამრჯელო.

სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლიან ამავე წესით მოითხოვოს ცნობა იმ გასამრჯელოს შესახებ, რაც ავტორს ერგება მისი განსაკუთრებული უფლების განხორციელებისათვის.

მუხ. 293. უკეთუ სასამართლოს აღმასრულებლის მოთხოვნა (მუხ. 289) არ იქნება შესრულებული, ან უკეთუ პასუხი არ იქნება წარდგენილი, ის პირი და დაწესებულება, რომელთანაც მოვალე მსახურობს ან მუშაობს, ან რომელიც ვალდებულია მისცეს ავტორს გასამრჯელო მისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, პასუხს აგებს გადამხდევინებლის წინაშე დასაქერი თანხის რაოდენობით.

II

შეიცვალოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII და XXXIII თავების სათაური და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

თ ა ვ ი XXVII.

„საჩივარი ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს მოქმედებაზე“.

თ ა ვ ი XXXIII.

„გადახდევინების მიქცევა მუშა-მოსამსახურის სამუშაო ხელფასსა და ავტორის გასამრჯელოზე“.

III

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს 22[1] მუხლი, მე-40 მუხლის შენიშვნა, 64 მუხლის შენიშვნა, 83 მუხლის მე-2 შენიშვნა, 104[1], 109[1], 115[2] მუხლები, 178 მუხლის მე-2 შენიშვნა, 188 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნა, 235 მუხლის შენიშვნა, 242 მუხლის მე-2 შენიშვნა, 246 მუხ. შენიშვნა, 254[1] მუხ. 1-ლი და მე-2 შენიშვნა, 254[2] მუხ. მე-2 შენიშვნა, 266[1]—266[5] მუხლები შენიშვნებითურთ, 270 მუხლის შენიშვნა, 276 მუხლის შენიშვნა, 290 მუხლის მე-2 და მე-3 შენიშვნა და 317[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 22¹. დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრულ შრომით კონფლიქტს, რაც იმის გამო წარმოიშვება, რომ შესრულებული არ იყო შრომის ყანონი, კოლექტიური და შრომის ხელშეკრულება და შინაგანწესრიგება, ან იმის გამო, რომ სისწორით არ იყო შეფარდებული გადასახდელთა ტაბულა,—ყველა ინ შემთხვევაში: ა) როდესაც კონფლიქტი, რომლის განხილვაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სავალდებულოა, არ იქნება გადაწყვეტილი ამ კომისიის მიერ, ბ) როდესაც კონფლიქტის განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სავალდებულო არ არის და მომუშავე სასამართლოს მიმართავს, გ) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილება გაუქმებულ იქნება ზედამხედველობის წესისამებრ, დ) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერის ან სამდიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ის თანხა, რაც მომუშავეს ან პროფესიონალურ კავშირს ერგება, ზედმიწევნით არ არის განსაზღვრული—განიხილავს სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესია, ხოლო იქ, სადაც იგი არ არსებობს,—სახალხო სასამართლო, სარჩელის თანხის მიუხედავად და იმის დამოუკიდებლად, თუ ვის წინააღმდეგ არის აღძრული სარჩელი.

შენიშვნა. შრომის საქმეთა სესიაში არ განიხილება იმ უკანონოდ დათხოვნილ მომუშავეთა აღდგენის საქმეები, რომელთაც აქვთ სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის უფლება, რა საწარმოსა და დაწესებულებაშიაც უნდა მუშაობდნენ ისინი (მათ შორის კერძოშიც), და აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა სხვა კატეგორიების პასუხისმგებელ მომუშავეთა საქმეები; ამ კატეგორიების ნუსხა განსაზღვრულ იქნება კანონში გათვალისწინებული წესით.

მუხ. 40. შენიშვნა. უკეთუ შეტანილ სასარჩელო განცხადებას ან საკასაციო საჩივარს, რომელზედაც გადახდილი იყო სასამართლო ბაჟი, სასამართლოში მსვლელობა არ მიეცემა, ან უკეთუ ეს განცხადება და საჩივარი დაიბრუნება შემტანს, ან ისე ჩაითვლება, ვითომც სულაც არ ყოფილა შეტანილი, ან და უკეთუ სასამართლო ბაჟი იმაზე მეტი რაოდენობით იყო გადახდილი, რაც საჭიროა, მთელი ან ზედმეტად შეტანილი ბაჟი დაიბრუნება შემტანს სახალხო ან მაზრის მოსამართლისა ან და სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილებით.

მუხ. 64. შენიშვნა. თხოვნას საჩივრის შესატანად ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს ერთპიროვნულად სახალხო ან მაზრის მოსამართლე.

მუხ. 83. შენიშვნა 2. განსახილველად ისეთი საქმის მიღების დროს, რომელიც ეხება ალიმენტების გადახდევინებას, სამუშაო ხელფასის ან იმ გასამრჯელოს გადახდევინებას, რაც ავტორს (და მის მემკვიდრეებს) ერგება თავისი განსაკუთრებული უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებისათვის ან და საავტორო უფლების დარღვევისათვის, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი, თუნდაც მოსარჩელეს საამისო შუამდგომლობა არც-კი აღეძრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 104[1]. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმე სხვა სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას (საარბიტრაჟო კომისიას, საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას და სხვ.) ექვემდებარება, იგი დაადგენს—საქმე ქვემდებარეობისამებრ იქნეს გადაცემული;

მუხ. 109[1]. შრომის საქმეები განიხილება არა უგვიანეს 7 დღისა მიღების დროიდან.

მუხ. 115[2]. ის საქმე, რაც შეჩერებულია 114 მუხლის „ვ“ პუნქტისა და 115 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების თანახმად და შეჩერების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არ განახლებულა რომელიმე მოდავის თხოვნით, მოსპობილად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში საქმის მოსპობა უფლებას არ ართმევს მოსარჩელეს აღძრას სარჩელი ამავე საქმეზე სასარჩელო ხანდაზმულობის ფარგლებში.

მუხ. 178. შენიშვნა 2. სასამართლო ორგანო შრომის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ასლებს მისცემს მხარეებს, სამი დღის ვადაზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

მუხ. 188. შენიშვნა 1. დამქირავებლისათვის ფულის გადასახდეველებლად მთლად გაცდენილი დროისათვის, როდესაც გაცდენა გამოწვეული იყო იმით, რომ დამქირავებელმა დროზე არ შეასრულა გადაწყვეტილება თანამდებობიდან ან მუშაობიდან უკანონოდ დათხოვნილის აღდგენის შესახებ, შრომის საქმეთა სესსია (მის მიერ განხილულ საქმეზე) გასცემს აღსრულების ფურცელს ხელახლად საქმის არსებითად გაურჩევლად.

მუხ. 188. შენიშვნა 2. აღსრულების ფურცელი შერიგების ხელშეკრულების შესასრულებლად გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებული არ არის ისეთ პირობებზე, რომელთა დადგომაც დამტკიცებულ უნდა იქნეს.

მუხ. 235. შენიშვნა. არ შეიძლება განსაჩივრება და გაპროტესტება საკასაციო წესით შრომის საქმეთა სესსიის ისეთი გადაწყვეტილებისა, რომელიც გამოტანილია: ა) ფულად სარჩელზე, უკეთუ თანხა მომუშავის თვიურ საშოვარს არ აღემატება და სარჩელი დაკავშირებული არ არის მომუშავის დათხოვნასთან და ბ) ისეთ საქმეზე, რაზედაც გადასახდელი გადაწყვეტილია ტაბულის მიხედვით, დათხოვნის შემთხვევის გარდა, აგრეთვე შრომის საქმეთა სესსიის მიერ, საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად, ხელმეორედ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე.

მუხ. 242. შენიშვნა. საკასაციო საჩივარი შრომის საქმეზე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს შვიდი დღისა მისი მიღების დღიდან. სია განსახილველად დანიშნული საკასაციო საჩივრებისა შრომის საქმეებზე გამოიკიდება უხუნაეს სასამართლოს შენობაში არა უგვიანეს 5 დღისა სამსჯავრო სხდომამდე.

მუხ. 246. შენიშვნა. საკასაციო ინსტანცია შრომის საქმეზე გამოტანს არსებით გადაწყვეტილებას, საქმის ხელახალ განხილვისათვის გადაუცემლად, იმ შემთხვევაში: ა) უკეთუ საქმის ფაქტიური მხარე საკმაოდ ნათელია; ბ) უკეთუ შესაცვლელია მხოლოდ გადაწყვეტილების დასაბუთება (კანონის აღნიშნვა და სხვ.); გ) უკეთუ საქმის ხელმეორედ არსები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად განხილვის დროს სასამართლომ არ იხელმძღვანელა ის განმარტება, რაც საკასაციო ინსტანციამ მისცა მას ამ საქმეზე წინად გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების დროს.

მუხ. 254[1]. შენიშვნა 1. შრომის საქმეთა სესიის გადაწყვეტილების გაპროტესტება ზედამხედველობის წესით პროკურატურას შეუძლიან მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევაში. ხოლო საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებისა და შრომის საქმეთა სესსიის მიერ, საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად, ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილების განსაჩივრება, გაპროტესტება და გადასინჯვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მუხ. 254[1]. შენიშვნა 2. უკეთუ შრომის საქმეთა სესსიის გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით გაუქმებულ იქნება, ამ გადაწყვეტილების თანახმად გაცემული თანხა შეიძლება უკანვე გადახდეს მომუშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გაუქმებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედვა მომუშავის მიერ წარდგენილი ყალბი დოკუმენტი ან ცრუ ცნობა.

მუხ. 254[2]. შენიშვნა 2. შრომის საქმეთა სესსიის გადაწყვეტილების გაპროტესტება ზედამხედველობის წესით პროკურატურას შეუძლიან არა უგვიანეს სამი თვის ვადისა სათანადო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

მუხ. 266[1]. დაკმაყოფილების რიგისა და წესის მიხედვით ყველა პრეტენზიები, 266[2] და 266[3] მუხლებში აღნიშნული გამონაკლისით, განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგ კატეგორიებად:

პირველ კატეგორიას ეკუთვნის: 1) მუშა-მოსამსახურეთა ყველა პრეტენზია, რაც გამომდინარეობს შრომის კანონმდებლობიდან ან კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებიდან; 2) პრეტენზიები დაშავებისა ან სიკვდილის გამო საზღაურის შესახებ, მათ შორის არსებული წესით გაკაპიტალიზებული გადასახდელის შესახებ; 3) პრეტენზიები ალიმენტების შესახებ; 4) ავტორებისა და მათი მემკვიდრეების პრეტენზიები იმ საზღაურის შესახებ, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს მათი განსაკუთრებული უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებისათვის; 5) გამომგონთა და სამრეწველო ნიმუშების ავტორთა (იურიდიული პირების გარდა) და აგრეთვე მათი მემკვიდრეების პრეტენზიები რეგისტრაციაში გატარებული გამონაგონებისა და სამრეწველო ნიმუშების გამოყენებისათვის გადასახდევინებელი საზღაურის იმ ნაწილის შესახებ, რაც ექვს ათას მანეთს არ აღემატება; 6) პატიოსანი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ამოღების მცდელთა (старателей) პრეტენზიები, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „პატიოსანი ლითონისა და ძვირფასი ქვების ამოღების მცდელთა შრომის გამოყენების პირობების შესახებ“ 1928 წ. ივნისის 22-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-17 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-40 №-რი, მუხ. 365); 7) პროფესიონალურ კავშირთა პრეტენზიები საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების შესანახად დაწესებული ანარიცხების შესახებ; 8) პრეტენზიები სოციალური დაზღვევის გადასახდელისა და დარიცხული საურავის გადახდევინების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კატეგორიას ეკუთვნის: 1) დავალიანება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სფეროში, ხვედრი საურავით; 2) დავალიანება, ხვედრი საურავით, იმ არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში, რომელზედაც, კანონის თანახმად, ვრცელდება გადასახადების გადახდევინებისათვის მიღებული წესი; 3) სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიები საერთო-სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან უშუალოდ გაცემული სესხის გამო და პრეტენზიები საბანკო სესხის გამო, რაც უზრუნველყოფილია სსრკ-ის ან საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგარანტიო წერილებით სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 21-ის დადგადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-6 №-რი, მუხ. 59).

მესამე კატეგორიას ეკუთვნის: 1) სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა პრეტენზიები, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა პრეტენზიები, სადაც კოოპერატიული კაპიტალი სპარბობს; 2) ჯარიმა სოციალური დაზღვევის კანონების დარღვევისათვის, აგრეთვე ჯარიმა, რაც დაკავშირებულია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების გადახდევინებასთან და ყველა სხვა ჯარიმა, რასაც-კი ახდევინებენ სახელმწიფო ორგანოები; 3) პროფესიონალურ კავშირთა ყველა პრეტენზია, გარდა იმ პრეტენზიებისა, რაც აღნიშნულია ამა მუხლის „ა“ პუნქტის მე-7 ქვეგანაყოფში; 4) კოოპერატიული ორგანიზაციების პრეტენზიები; 5) ყველა საკრედიტო დაწესებულების პრეტენზიები მათი საკრედიტო ოპერაციების გამო, გარდა სახელმწიფო ბანკის პრეტენზიებისა მისი საკრედიტო ოპერაციების გამო („ბ“ პუნქტის მე-3 ქვეგანაყოფი); 6) მეანაბრეთა პრეტენზიები მათი ვადიანი და უვადო ანაბრებისა და სახელდაბლო ანგარიშების გამო ისეთ საკრედიტო დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი სპარბობს; 7) კოოპერატიული ორგანიზაციის წევრთა მიერ ამ ოგანიზაციისათვის წარდგენილი პრეტენზიები; ზ) სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრეტენზიები, რაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით მიკუთვნებულია ამა კატეგორიისათვის.

მეოთხე კატეგორიას ეკუთვნის ყველა დანარჩენი პრეტენზია.

შენიშვნა 1. ალიმენტების იმ ნორმას, რაც უპირატესად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. მოთხოვნა შენაერთ (საწესდებო) კაპიტალში შეტანილი ფულის დაბრუნების შესახებ სრული ამხანაგობისა, ნდობის ამხანაგობისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობისა, სინდიკატისა და კოოპერატიული ორგანიზაციის ლიკვიდაციის დროს—დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც სრულად გასტუმრებული ან უზრუნველყოფილი იქნება სალიკვიდაციო საწარმოს ან ორგანიზაციის ყველა ვალი.

მუხ. 266². გირაოთი უზრუნველყოფილი პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უპირატეს სხვა პრეტენზიებისა, დაგირავებული ქონების ღირებულებიდან, მოგირავნეთა უფროსების დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, უკეთუ მოვალის მთელი დაუგირავებელი ქონება საკმარისი არ იქნება პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) დასაკმაყოფილებლად:

ა) გირაოთი უზრუნველყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიების წინაშე უპირატესობა აქვს პირველი კატეგორიის პრეტენზიებს, გარდა სოციალური დაზღვევის პრეტენზიებისა;

ბ) გირაოთი უზრუნველყოფილი სხვა საკრედიტო დაწესებულებების პრეტენზიების წინაშე, მათ შორის აგრეთვე სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისაც, უპირატესობა აქვს პირველი კატეგორიის პრეტენზიებს, აგრეთვე საალციზო გადასახდელს, რაც დაგირავებულ ქონებას ადვევ, უკეთუ ეს ქონება დაგირავებული იყო იმ დროს, როდესაც იგი ინახებოდა საბაზისო საწყობში წარმოების ადგილას ან საბაჟოში;

გ) გირაოთი უზრუნველყოფილი სხვა მოგირავნეთა პრეტენზიების წინაშე უპირატესობა აქვს პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიებს, გარდა სახელმწიფო ბანკის იმ პრეტენზიებისა, რაც გირაოთი უზრუნველყოფილი არ არის.

ვინაიდან დაგირავებული ქონების საჯარო გაყიდვით შემოსული თანხა საკმარისი არ იქნება მოგირავნის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, მოგირავნე, უკეთუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მიიღებს დაკმაყოფილებას პრეტენზიის დაუფარავი ნაწილისათვის მოვალის სხვა ქონებიდან საერთო წესით (მუხ. 266[1]).

მუხ. 266[3]. 266[1] და 266[2] მუხლებში აღნიშნული წესი არ აუქმებს:

ა) საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებულ რიგ-რიგობას, რაც გათვალისწინებულია 1927 წ. იანვრის 18-ის დებულებაში კოოპერატიული კრედიტის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 44);

ბ) სპეციალური კანონებით (სსრკ რკინის გზების წესდება—სსრკ კან. კრ. 1927 წ. 30 №-რი, მუხ. 308; დებულება ზღვით გადაზიდვის შესახებ—სსრკ კან. კრ. 1926 წ. 39 №-რი, მუხ. 284; სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 26 დადგენილება რკინის გზით და წყალსავალი გზით გადასაზიდი ტვირთისა, ბაგაჟისა და ხელის ბარგის გასინჯვისა და დაქერის შესახებ—სსრკ კან. კრ. 1925 წ. 66 №-რი, მუხ. 497) გათვალისწინებულ უფლებას, რომლითაც რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოთ შეუძლიანთ, უპირატესად ყველა სხვა კრედიტორების წინაშე, დაიკმაყოფილონ თავისი სათანადო პრეტენზიები გადასაზიდი ტვირთის ღირებულებიდან;

გ) მოვალის ქონების საჯარო ვაჭრობით გამყიდველი ორგანოებისათვის კანონით მინიჭებულ უფლებას გაყიდვით მიღებული თანხიდან პირველ რიგში დაფარონ აღნიშნული ქონების შეკვრით, შენახვით, მიტანით და გაყიდვით გამოწვეული ხარჯი;

დ) სასაქონლო საწყობების უფლებას იმ ფულის მიღებაზე, რაც მათ ერგებათ საქონლის შენახვისათვის (გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 4-ს დადგენილებაში „სასაქონლო საწყობთა მიერ საქონლის შესანახად მიღებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცემული დოკუმენტების შესახებ"—სსრკ კან. კრ. 1925 წლ. მე-60 №—რი, მუხ. 445);

ე) სსრკ-ის სამაჯო კოდექსით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №—რი, მუხ. 2) სამაჯოებისათვის მინიჭებულ უფლებას, რომ სამაჯო დაწესებულებიდან ტვირთის გაცემის დროს მიიღონ მაჯი და სხვა გამოსაღები, რაც ამ ტვირთზე ირიცხება;

ვ) გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებათა პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებულ წესს ისეთი გრძელვადიანი სესხის გამო, რაც გირაოთი არ არის უზრუნველყოფილი,—სსრკ-ის სპეციალური კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) მიწის საალნაგოდ გამცემ ორგანოთათვის საალნაგო კანონმდებლობით მინიჭებულ უპირატესობას იმ პრეტენზიების დაკმაყოფილების დროს, რასაც აღნიშნული ორგანიები წარუდგენენ მოალნაგეთ.

მუხ. 266[1]. პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული პრეტენზიები დაკმაყოფილდება გასანაწილებლად დანიშნული პირველი თანხებიდან, ამ თანხების შემოსვლისადამიხედვით, ამა თუ იმ ვადის გასვლის დაუცდელად.

შენიშვნა. უკეთუ, მოვალის არაშემძლეობის გამო, არსებული წესისამებრ, დანიშნული სალიკვიდაციო ორგანო არ დააკმაყოფილებს პირველი კატეგორიის პრეტენზიას (მუხ. 266[1]) სამი დღის ვადაზე პრეტენზიის განცხადების დღიდან, ამ პრეტენზიის განმცხადებელ კრედიტორს, სოციალური დაზღვევის ორგანიების გამოკლებით, უფლება აქვს განაცხადოს ეროვნული ეკონომიკურ საბჭოს, ან, ეროვნული ეკონომიკურ საბჭოს ადგილობრივ ორგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცნობს, რომ მას არ შეუძლიან მთლად დააკმაყოფილოს კრედიტორების ფულადი მოთხოვნები.

არაშემძლეობის გამოცხადების წესები გათვალისწინებულია ამა შენიშვნის განსაკუთრებულ დანართში.

მუხ. 270. შენიშვნა. სახალხო მოსამართლის დადგენილება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღმასრულებლების მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო განსაჩივრებულ უნდა იქნეს კერძო საჩივრის წესით (მუხ. 249).

მუხ. 286. შენიშვნა. სამუშაო ხელფასისა და იმ გასამრჯელოს გადახდევინების შესახებ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რაც ავტორს ერგება მისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, დაინიშნება ვადა არა უმეტეს შვიდი დღისა.

მუხ. 290 შენიშვნა 2. იმ გასამრჯელოზე გადახდევინების მიქცევის დროს, რაც ავტორს ერგება მისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებისათვის, დაცულ უნდა იქნეს ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში და 1-ლ შენიშვნაში გათვალისწინებული წესი.

მუხ. 290. შენიშვნა 3. იმ თანხების გადახდევინება, რასაც სასამართლო გადაწყვეტს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაფლანგული, გატაცებული და მითვისებული ქონების ასანაზღაურებლად, მოხდება ამა კოდექსის 271 მუხლის მე-II დანართის წესით.

მუხ. 317[1]. უკეთუ დაგირავებული ქონება საჯარო ვაჭრობით ვერ გაიყიდა და იგი, წინა მუხლის წესით, მოგირავნემ დაინარჩუნა, ეს უკანასკნელი მოვალეა დააკმაყოფილოს ის პრეტენზიები, რომლებსაც, 266[2] მუხ. თანახმად, უპირატესობა აქვს მისი პრეტენზიის წინაშე, ხოლო ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება საჯარო ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ამ ქონების შეფასებას.

IV

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266[5] მუხლის შენიშვნას დაემატოს შემდეგი დანართი „წესები ფიზიკურ და იურიდიულ კერძო პირთა არაშემძლეობის შესახებ“.

წესები ფიზიკურ და იურიდიულ კერძო პირთა არაშემძლეობის შესახებ.

(სამოქ. სამარ. საპროცესო კოდ. 266[5] მუხლის შენიშვნის დანართი).

ჯ ა რ ი 1.

არაშემძლეობის საქმეთა ქვემდებარეობა და წარმოების წესი.

1. არაშემძლეობის საქმე ექვემდებარება სამაზრო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას. აღნიშნული საქმე აღიძვრის: ა) იურიდიული პირის მიმართ—იმ ადგილის მიხედვით, სადაც ამ იურიდიული პირის გამგეობა იმყოფება; ბ) ფიზიკური პირის მიმართ—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26—27 მუხლის საერთო წესით.

№ 248 ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. უკეთუ სხვადასხვა სასამართლოში აღძრულია რამდენიმე საქმე ფიზიკური პირის არაშემძლედ ცნობის შესახებ, ყველა ეს საქმე გადაეცემა იმ სასამართლოს, რომელმაც პირველმა სცნო მოვალე არაშემძლედ, ან იმ სასამართლოს, სადაც პირველად იყო აღძრული არაშემძლეობის საქმე.

2. სასამართლოს დადგენილება არაშემძლედ ცნობისა ან არაშემძლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ორი კვირის ვადაზე ადრე გადაწყვეტილების გამოცხადებისა. არაშემძლეობის საქმეზე ყველა სხვა გადაწყვეტილება მაზრის მოსამართლეს გამოაქვს ერთპიროვანად და მისი განსაჩივრება შეიძლება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 249 მუხლის წესით.

3. არაშემძლედ ცნობის შესახებ საქმის აღძრა შეუძლიან: ა) კრედიტორს; ბ) მოვალეს, გ) იმ უწყების (უწყებებს) ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას (განყოფილებებს), რომელთა კომპეტენციაშიაც შედის მეურნეობის ისეთი დარგის მოწესრიგება, რასაც მოვალის საწარმო ეკუთვნის; დ) სასამართლოს, უკეთუ გადახდევინების წარმოების დროს აღმოჩნდება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლის მე-2 შენიშვნაში აღნიშნული არაშემძლეობის ნიშნები, ე) პროკურორს.

4. იმ პირმა და დაწესებულებამ, რომელიც აღძრავს საქმეს არაშემძლეობის შესახებ, უნდა წარუდგინოს სასამართლოს: მოვალემ—თავისი კრედიტორების და მოვალეების სია, მათი მისამართების აღნიშვნით, და ცნობები თავისი ქონების მდგომარეობის შესახებ; კრედიტორმა—თავისი მოთხოვნის დამამტკიცებელი საბუთები და ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალემ შესწყვიტა ვალების გადახდა; სხვა ორგანოებმა—ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალემ შესწყვიტა ვალების გადახდა.

5. საქმე არაშემძლეობის შესახებ განიხილება სასამართლოსათვის ცნობილი კრედიტორებისა, მოვალისა და სათანადო უწყების ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების (3 მუხ. „გ“ პუნ.) წარმომადგენლების დაბარებით.

უკეთუ საქმე მოვალის მიერ არ არის აღძრული, მან უნდა წარადგინოს, სასამართლოს მოთხოვნით, სასამართლოს სხდომამდე შვიდი დღით ადრე, სია თავისი კრედიტორებისა და მოვალეებისა და ცნობები თავისი ქონების მდგომარეობის შესახებ.

შენიშვნა. იმ გარემოების გამორკვევის დროს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას არ შეუძლიან მთელი ვალის გასტუმრება, მხედველობაში არ მიიღება ასეთი ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა ამხანაგობის დავალიანების გამო.

6. არაშემძლეობის საქმის აღმძრელ პირთა და დაწესებულებათა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლიან საქმის გადაწყვეტამდე შეჰკრას მოვალის ქონება სარჩელის უზრუნველყოფის წესისამებრ (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 87—94 მუხ.).

7. სასამართლო, მოვალის არაშემძლედ ცნობის შემდეგ, წინადადებას აძლევს მე-3 მუხლის „გ“ პუნქტში დასახელებულ ორგანოს დანიშნონ, შვიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ვადაზე, ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია სალიკვიდაციო საწარმო, და განსაზღვრავს სალიკვიდაციო ვადას.

ეს ვადა ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს, ამასთანავე ვადის გადიდება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასამართლოს ცალკე დადგენილებით; თანაც სასამართლო წინადადებას აძლევს აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს დაუყოვნებლივ დანიშნოს განსაკუთრებული პირი, რომელსაც დაეკისრება საწარმოს ქონების დაცვა, იმ დრომდე, სანამ ლიკვიდატორები შეუდგებოდნენ თავის მოვალეობის შესრულებას.

შენიშვნა. ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ პირს შეუძლიან აგრეთვე მოვალის ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულებაც, თუ ეს აუცილებლად საჭირო იქნება.

8. ამა თუ იმ პირის არაშემძლედ ცნობას სასამართლო დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს გაზეთ „კომუნისტ“-ში და ადგილობრივ ბეჭდვითი ოფიციალურ ორგანოში, უკეთუ იგი არსებობს, და შეატყობინებს სავაჭრო რეგისტრაციის სათანადო ორგანოს.

პუბლიკაციაში უნდა აღინიშნოს ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა არაშემძლედ ცნობა, მოვალის სახელწოდება, მისი სამყოფელი ადგილი და ლიკვიდაციის ვადა. პუბლიკაციის ხარჯი გადახდება კრედიტორებს.

ᲥᲐᲠᲘ II.

არაშემძლეობის შედეგები.

9. ამა თუ იმ პირის არაშემძლედ ცნობის დღიდან:

ა) მოვალის ქონების მართვა-გამგებლობისა და განკარგულების უფლება გადადის ლიკვიდატორებზე; ლიკვიდატორებზე გადადის აგრეთვე უფლება ისარჩელონ და პასუხი აგონ სასამართლოში მოვალის საქმეების გამო, გარდა იმ საქმეებისა, რომლებსაც მოვალე, ლიკვიდატორების ნებართვით, თვით აწარმოებს;

ბ) მოვალის მთელი ქონება შეიკვრება, და მესამე პირი, რომლის ხელშიაც არაშემძლედ ცნობილის ქონება არის, ან რომელსაც გადასახდელი რამ აქვს მოვალის სასარგებლოდ, ვალდებულია გადასცეს ლიკვიდატორებს ასეთი ქონება ან გადაუხადოს აღნიშნული გადასახდელი;

გ) კრედიტორის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ლიკვიდატორებისათვის ამ კრედიტორის პრეტენზიების წარდგენით.

ლიკვიდაციის განმავლობაში არ შეიძლება ცალკე კრედიტორის სასარგებლოდ არც ქონების შეკვრა, არც იძულებითი შესრულება სასამართლოს გადაწყვეტილების გამო ან უდავო წესით.

სასამართლოს აღმასრულებელი და ყველა ორგანო, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს უდავო წესით გადახდევინების უფლება, მოვალეა მოსპოს მის ხელთ ქონებული სააღსრულებლო წარმოება არაშემძლედ ცნობილის მიმართ და გადასცეს იგი ლიკვიდატორებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ყველა პრეტენზიის გამო, გარდა მე-16 მუხ. აღნიშნული პრეტენზიებისა და პირველი კატეგორიის პრეტენზიებისა (მუხ. 266[1]), შესწყდება, ლიკვიდაციის წარმოების დროს, ვადის გადაცილებისათვის პროცენტებისა, საურაისა და პირგაუტეხელობის ჯარიმის დარიცხვა;

ე) მოვალის კრედიტორთა ისეთი მოთხოვნის ვადად, რომლის შესრულების ვადაც არ დამდგარა არაშემძლედ ცნობის დღემდე, ჩაითვლება ეს უკანასკნელი დღე; თანაც აღნიშნული მოთხოვნა შემცირდება იმ თანხით, რასაც შეადგენს დაკანონებული პროცენტი დღიდან არაშემძლედ ცნობისა მოთხოვნის ვადის დღემდე;

ვ) არაშემძლედ ცნობის დღიდან ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ პუბლიკაციის დაბეჭდამდე მოვალეს უფლება არა აქვს აწარმოოს რაიმე ვაჭრობა, ან მოაწყოს სამრეწველო თუ სხვა ისეთი საწარმო, სადაც საჭიროა დაქირავებული შრომა, აგრეთვე იკისროს ნარდათ მუშაობა და გაყიდვა-მიწოდება.

ამა მუხლის „გ“ პუნ. გათვალისწინებული აკრძალვა არა ვრცელდება პირველი კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) დაკმაყოფილებაზე, სოციალური დაზღვევის პრეტენზიების გამოკლებით.

ჯარი III.

ლიკვიდატორები.

10. ლიკვიდატორები მოვალენი არიან:

ა) მოთთავსონ გაზეთ „კომუნისტ“-ში და ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოში, სადაც იგი არსებობს, პუბლიკაცია იმის შესახებ, რომ ისინი შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას; იქვე უნდა აღინიშნოს მათი მისამართები.

ბ) შეადგინონ მთელი იმ ქონების აღწერილობა, რაც კი აღმოაჩნდება მოვალეს და მიიღონ ღონისძიება ამ ქონების დასაცავად;

გ) გამოსძებნონ მოვალის ქონება და ვალი, რაც მოვალეს მესამე პირებისაგან ერგება და გადაახდევინონ მათ ეს ვალი;

დ) მოახდინონ მთელი ქონების სათანადო შეფასება და რაც შეიძლება მალე გაანაღდონ ეს ქონება, უკეთუ შეფარდებულ არ უნდა იქნეს ამა დანარეთის მე-VII კარის (35-44 მუხ.) წესები;

ე) შეადგინონ მოვალის დავალიანების საერთო ანგარიში და განსაზღვრონ კრედიტორების დაკმაყოფილების წესი და ფარგლები.

შენიშვნა. უკეთუ დანიშნული იქნება რამდენიმე ლიკვიდატორი, მათ შორის მოვალეობათა განაწილება მოხდება იმ ორგანოს განკარგულებით, რომელმაც ლიკვიდატორები დანიშნა, ხოლო, უკეთუ ასეთი განკარგულება არ იქნება,—ლიკვიდატორთა ურთიერთ შორის შეთანხმებით.

11. ლიკვიდატორს შეუძლიან იკისროს ისეთი ვალდებულება და დასდვას ისეთი ხელშეკრულება, რაც საჭირო იქნება მოვალის ქონების რეალიზაციისათვის; ხოლო რათა ლიკვიდატორმა იკისროს თამასუქით ვალდებულება და პირგაუტეხელობის ჯარიმა, აგრეთვე იკისროს ისეთი ვალდებულება და დასდვას ისეთი ხელშეკრულება, რაც გულისხმობს არაშემძლედ ცნობილის საქმეთა განი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძობას ან ლიკვიდაციის ვადის გადადებას, აუცილებლად საჭიროა ლიკვიდატორების დამნიშვნელი სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

12. ლიკვიდატორის სამეურნეო მოქმედებას ზედამხედველობას უწევს ის სახელმწიფო ორგანო, რომელმაც იგი დანიშნა; იგივე უწევს მას საჭირო ხელმძღვანელობას და მასვე ურდგენს ლიკვიდატორი თავის მოქმედების ანგარიშს.

ლიკვიდატორი მიიღებს ყოველთვიურ გასამრჯელოს სალიკვიდაციო საწარმოს ხარჯზე იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს სასამართლო, თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციისა.

13. ლიკვიდატორებს შეეფარდებათ თანამდებობის პირებისათვის დადგენილი წესები.

ᲗᲐᲠᲘ IV.

ᲡᲐᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ.

14. სალიკვიდაციო ქონებად ჩაითვლება მთელი ის ქონება, რაც მოვალეს ეკუთვნის მისი არაშემძლედ გამოცხადების მომენტში, როგორც ისეთი, რაც მის ხელთ არის, ისე ისეთიც, რაც გამოიხატება მესამე პირებისადმი მოთხოვნაში, აგრეთვე ყოველი ქონება, რაც შეიძლება ერგოს მოვალეს ლიკვიდაციის დამთავრებამდე ან და დაებრუნოს მის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის გამო.

მოვალის ისეთი ქონება, რაც ჩამოთვლილია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტში, არ შედის სალიკვიდაციო ქონების შედგენილობაში.

15. მოვალის ქონება, რაც დაგირავებული აქვს მესამე პირს გირავნობის პრეტენზიის ვადის დამოუკიდებლად, გადაიცემა სალიკვიდაციო ქონების შედგენილობაში, ხოლო კრედიტორები დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო საპრეტენზიო წესით; ამასთანავე, დაცულ უნდა იქნეს 27 მუხლში გათვალისწინებული უფლება მოგირავნე-კრედიტორის უპირატესად დაკმაყოფილებისა იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება დაგირავებული ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხას.

უკეთუ საკრედიტო დაწესებულებას კანონით ან წესდებით უფლება აქვს მის მიერ გირაოდ მიღებული ქონების უშუალო რეალიზაციისა, მას შეუძლიან ეს უფლება განახორციელოს ისეთი მოვალისაგან გირაოდ მიღებული ქონების მიმართაც, რომლის საქმეთა გამო დაწყებულია სალიკვიდაციო წარმოება. აღნიშნული ქონების რეალიზაციის ვადას საკრედიტო დაწესებულება განსაზღვრავს თავისი შეხედულებით, ხოლო იგი არ უნდა სცილდებოდეს ერთ თვეს არაშემძლეობის გამოაშკარავების დღიდან, იმ პირობით კი, რომ რეალიზაციით მიღებული თანხა დაუყონებლივ გადაეცეს ლიკვიდატორებს კრედიტორთა შორის გასანაწილებლად 24—28 მუხ. თანახმად.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული წესი არ აუქმებს სპეციალური კანონით (რკინის გზათა წესდება, წყლის ტრანსპორტის კანონი და კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დოკუმენტების შესახებ, რასაც საქონლის საწყობები გასცემენ საქონლის შესანახად მიღების დასადასტურებლად) გათვალისწინებულ უფლებას, რის ძალითაც რკინის გზას, სანაოსნო საწარმოს და საქონლის საწყობს შეუძლიან მოახდინოს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიღებული საქონლისა და ტვირთის რეალიზაცია ზემოაღნულ კანონში განსაზღვრული წესით.

16. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ, ერთი თვის ვადაზე დღიდან ლიკვიდატორების მუშაობის დაწყების შესახებ პუბლიკაციის დაბეჭდვისა, უარი სთქვან, სასამართლოს ნებართვით, მოვალის მიერ არაშემძლეთ ცნობამდე დადებულ, მაგრამ შეუსრულებელ ხელშეკრულებათა შესრულებაზე, უკეთუ დამტკიცდება, რომ ეს ხელშეკრულება საზიანოა მოვალის საწარმოსა ან მისი კრედიტორებისათვის.

ასეთ შემთხვევაში კონტრაგენტის პრეტენზია, რაც აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, დაკმაყოფილდება იმ კრედიტორების პრეტენზიების თანახმად, რომელთაც თავიანთი პრეტენზიები ლიკვიდატორებისათვის განუცხადებიათ.

17. სასამართლოს შეუძლიან მოვალის არაშემძლედ ცნობამდე, მის მიერ დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება ბათილად სცნოს სამოქალაქო სამართლის კოდექსში აღნიშნულ საერთო საფუძველზე და აგრეთვე მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

18. სასამართლოს შეუძლიან მოვალის მიერ დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება, ლიკვიდატორების ან კრედიტორების სარჩელით, ბათილად სცნოს იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ასეთი გარიგების დადებით, ფულის გადახდით და გასხვისებით მოვალეს განზრახული ჰქონდა თავისი ქონების რაოდენობის ან მისი ღირებულების შემცირება; ამასთანავე, უკეთუ მოვალის კონტრაგენტი მისი ახლო ნათესავი ან მისგან დამოკიდებული პირია,—იგულისხმება, რომ მან იცოდა მოვალის განზრახვა;

ბ) უკეთუ მოვალის მიერ, არაშემძლედ ცნობამდე ერთი წლის განმავლობაში, დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება უეკვივალენტო იყო;

გ) უკეთუ მოვალის მიერ გარიგების დადება, ფულის გადახდა თუ გასხვისება მოხდა მის შემდეგ, რაც მან შესწყვიტა ვალების გასტუმრება, ან ერთი თვით ადრე არა შემძლეობის გამოშკარავამდე, და თვით იმ დროს, როდესაც ეს გარიგება, გადახდა თუ გასხვისება მოხდა, იგი საზარალო იყო მოვალისათვის.

შენიშვნა. ეს მუხლი არ შეეფარდება პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) დაკმაყოფილების შემთხვევებს, ხოლო ამის გარეშე ისეთ შემთხვევას, როდესაც გარიგება მოვალეს სახელმწიფო დაწესებულებასა ან საწარმოსთან თუ კოოპერატიულ კავშირთან ჰქონია დადებული, ან უკეთუ მოვალეს ფული გადაუხდია ან გაუსხვისებია რამ აღნიშნული დაწესებულებისა, საწარმოს თუ კავშირის სასარგებლოდ.

19. უკეთუ გარიგება, ფულის გადახდა ან გასხვისება გაბათილებულ იქნა მე-18 მუხლის თანახმად, მოვალის კონტრაგენტმა უნდა დაიბრუნოს საღიკვიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო ქონებაში ჩასარიცხავად ამ გარიგებით მიღებული მთელი ფულადი თანხა, ან სხვა ქონება, ან და ამ ქონების საფასური.

20. უკეთუ გაბათილებულ იქნა ეკვივალენტიანი გარიგება, რომლის დადების დროს მოვალის კონტრაგენტმა იცოდა, რომ იგი მიმართულია კრედიტორების საზიანოდ, კონტრაგენტს უფლება არა აქვს წარადგინოს რაიმე ისეთი პრეტენზია, რაც გამომდინარეობს გარიგებიდან ან გარიგების ბათილად ცნობის ფაქტიდან.

21. სარჩელი იმის შესახებ, რომ მოვალის მიერ დადებული გარიგება, ფულის გადახდა ან გასხვისება მე-18 მუხ. მიხედვით ბათილად იქნეს ცნობილი, განიხილება საერთო სასარჩელო წესით.

კარი V.

პრეტენზიების განაწილება.

22. კრედიტორებმა თავისი პრეტენზიები უნდა განუცხადონ ლიკვიდატორებს არა უგვიანეს სამი თვისა იმ დღიდან, როდესაც ლიკვიდატორები, პუბლიკაციის მეშვეობით, გამოაცხადებენ, რომ ისინი შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას.

პირველი კატეგორიის პრეტენზიები (მუხ. 266[1]), სოციალური დაზღვევის პრეტენზიების გამოკლებით, შეიძლება განცხადებულ იქნეს ზემოაღნიშნულ სამი თვის ვადის გასვლის შემდეგაც, იმ დღემდე, ვიდრე სასამართლო დაამტკიცებდეს ლიკვიდატორების მიერ შედგენილ სავარაუდო ანგარიშს. ამასთანავე, ლიკვიდატორები მოვალენი არიან მიიღონ საკუთარი ინიციატივით ღონისძიება აღნიშნული პრეტენზიების გამორკვევისათვის, იმის მიუხედავად, შეტანილია თუ არა სათანადო განცხადება.

პრეტენზიის განცხადება შესწყვეტს ხანდაზმულობის დენას არაშემძლე მოვალის მიმართ.

არ შეიძლება ისეთი პრეტენზიის დაკმაყოფილება აღიკვიდაციო წესით, რომელიც განცხადებულ არ იქნა ამა მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

23. პრეტენზია განცხადებულ უნდა იქნეს წერილობით, დოკუმენტების დედნების თანდართვით. უკეთუ შეუძლებელია დოკუმენტების დედნების წარდგენა, დედნების ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იქნეს შემოწშებული ასლები, იმ პირობით კი, რომ ლიკვიდატორებს წარედგინოს დოკუმენტების დედნები კრედიტორების დასაკმაყოფილებლად შედგენილი საკარაუდო ანგარიშის დამტკიცებამდე სასამართლოში.

24. ლიკვიდატორები განცხადებულ პრეტენზიებს მიღებისთანავე შეიტანენ ცალკე რეესტრში; დაინტერესებულ პირს შეუძლიან გადასინჯოს ეს რეესტრი და განცხადებათა დედნები ყველა თანდართული დოკუმენტით.

ლიკვიდატორები მოვალენი არიან განიხილონ ყველა განცხადებული პრეტენზია და სცნონ ეს პრეტენზიები ან სადავოდ, ან უდავოდ, თანაც უდავო პრეტენზიები მიაკუთვნონ კრედიტორების თანდათანობით დაკმაყოფილებისათვის დაწესებულ ამა თუ იმ რიგს (27 მუხ.) და დაუყოვნებლივ აღინიშნონ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოება რეესტრში. ის პრეტენზია, რაც სადავოდ იქნება ცნობილი, ამოირიცხება დაკმაყოფილების საკარაულო ანგარიშიდან.

შენიშვნა. უკეთუ ლიკვიდატორები სადავოდ სცნობენ პირველი კატეგორიის პრეტენზიებს (მუხ. 266[1]), სოციალური დაზღვევის პრეტენზიების გამოკლებით, და აგრეთვე კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დამყარებულ პრეტენზიას, მათ შეუძლიანთ ორი კვირის ვადაზე აღძრან სათანადო სარჩელი პრეტენზიის გაბათილების შესახებ, ან ითხოვონ გადაწყვეტილების გადასინჯვა.

უკეთუ ლიკვიდატორები სადავოდ სცნობენ პრეტენზიას სოციალური დაზღვევის გამო, მათ, იმავე ორი კვირის ვადაზე, შეუძლიანთ განასაჩივრონ ასეთი პრეტენზია სოციალური დაზღვევის ზემდგომ ორგანოში საინსტანციო წესისამებრ.

ვიდრე სასამართლო ან სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანო გადასწყვეტდეს ლიკვიდატორების სარჩელს ან საჩივარს, აღნიშნული პრეტენზია უნდა დაკმაყოფილდეს როგორც უდავო.

25. იმ კრედიტორს, რომლის პრეტენზიაც სადავოდ არის ცნობილი, შეუძლიან ორი კვირის ვადაზე იმ დღიდან, რაც მას ეს გარემოება ეცნობა, შეიტანოს საჩივარი და მოითხოვოს თავისი პრეტენზიის უდავოდ ცნობა.

ლიკვიდატორების მიერ ამა თუ იმ პრეტენზიის უდავოდ ცნობა შეიძლება აღნიშნულ ვადაზე განასაჩივრონ სასამართლოს წესით სხვა კრედიტორებმა, როგორც უფლების საკითხის გამო, ისე იმ საკითხის გამო, რაც პრეტენზიის დაკმაყოფილების ფარგლებისა და რიგს შეეხება.

ამა მუხლში აღნიშნული საჩივარი განიხილება მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესით.

26. სალიკვიდაციო ქონებიდან უპირველეს ყოვლისა გასტუმრებულ უნდა იქნეს ის ვალი, რაც წარმოიშვა ლიკვიდატორების სალიკვიდაციო მოქმედებასთან დაკავშირებით.

27. ყველა პრეტენზია, მათი დაკმაყოფილების თანამიმდევრობის მხრით, განაწილდება კატეგორიებად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266[1]—266[5] მუხლების თანახმად.

28. უკეთუ სასამართლოს მიერ ამა თუ იმ პირის არაშემძლედ ცნობამდე გამოირკვა, რომ არაშემძლედ ცნობილისა და მის რომელიმე კრედიტორს შორის არსებობს თანაგვარი ურთიერთი დავალიანება, რომლის ვადა უკვე დამდგარია,—ერთისა ან მეორის დავალიანება განისაზღვრება განსხვავებით აღნიშნულ ვადებს შორის.

ეს წესი არა ვრცელდება ისეთ ურთიერთ მოთხოვნებზე, რომელთა ვადა ჯერ არ დამდგარა არაშემძლედ ცნობის დღისათვის, რა დღიდანაც არავითარი გაბრა არ შეიძლება.

29. პირველი კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) გარდა, ყველა სხვა პრეტენზიის დაკმაყოფილებას ლიკვიდატორებს უფლება აქვთ შეუდგნენ არა უადრეს სამი თვისა იმ დღიდან, როდესაც ლიკვიდატორები პუბლიკაციის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეობით გამოაცხადებენ, რომ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

30. იმ პრეტენზიების უზრუნველსაყოფად, რაც ლიკვიდატორებმა სადავოდ სცნეს და რის გამოც აღძრულია სათანადო სარჩელი (25 მუხ.), გადაიდება თანხა პროპორციონალურად. ეს თანხა მიეცემა კრედიტორებს, უკეთუ სასამართლო თავის გადაწყვეტილებით პრეტენზიას უდავოდ სცნობს, ხოლო, უკეთუ იგი აღძრულ სარჩელს არ დაკმაყოფილებს, განაწილდება სხვა კრედიტორებს შორის 27 მუხლისამებრ.

ჯ�ი VI.

ლიკვიდაციის დამთავრება.

31. ქონების რეალიზაციას ლიკვიდატორები მოახდენენ იმ ორგანოს საერთო ზედამხედველობითა და კონტროლით, რომელმაც დანიშნა ისინი, და რომელიც ამტკიცებს ქონების გაყიდვის წესს.

ამ რეალიზაციისათვის ხელისშეწყობის საქმეში, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა უნდა მიიღონ კრედიტორებმა.

სავაჭრო, სამრეწველო ან სხვა საწარმოს ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორები მოვალენი არიან მიიღონ ღონისძიება იმისათვის, რომ ეს ქონება მთლად იყოს გასხვისებული. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას ეკუთვნის, ყველა სხვა თანასწორ პირობებში, უპირატესი უფლება სალიკვიდაციო საწარმოს შეძენისა.

32. მთელი ქონების ლიკვიდაციის დამთავრებისა და კრედიტორების ყველა პრეტენზიის განხილვის შემდეგ, ლიკვიდატორები შეადგენენ მიღებული თანხების საერთო ანგარიშს და კრედიტორთა შორის ამ თანხების განაწილების სამოლიო ანგარიშს. რეალიზაციით მიღებული თანხების ანგარიშის სისწორე უნდა შეამოწმოს იმ სამეურნეო ორგანომ. რომლის კონტროლითაც ხდებოდა ქონების ლიკვიდაცია (მუხ. 31), რის შემდეგ ამ ანგარიშს, აგრეთვე კრედიტორების დაკმაყოფილების სავარაუდო ანგარიშსაც ლიკვიდატორები წარუდგენენ დასამტკიცებლად სასამართლოს. სასამართლოში სავარაუდო ანგარიშის დამტკიცებისას, ლიკვიდატორები სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაზე მისცემენ კრედიტორებს იმ თანხებს, რაც მათ ერგებათ, ხოლო იმ თანხებს რაც მათ მიერ მიუღებელი დარჩება, შეიტანენ სანოტარო კონტორის დეპოზიტად.

სავარაუდო ანგარიშის დამტკიცების შემდეგ სასამართლო გადაანდევნებს კრედიტორებს სასამართლო ბაჯს სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 36 მუხლში განსაზღვრული რაოდენობით, იმ თანხებზე, რაც მათ ერგებათ. სასამართლო ბაჯი არ გადახდება ისეთ პრეტენზიას, რაც დამყარებულია კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, აგრეთვე უდავო წესით დასაკმაყოფილებელ ან და სასამართლო ბაჟისაგან განთავისუფლებულ პრეტენზიებს.

33. მიღებული თანხების კრედიტორთა შორის განაწილებას ლიკვიდატორები აცნობებენ სასამართლოს; ცნობას უნდა დაერთოს ლიკვიდაციის მთელი საქმე. უკეთუ სასამართლო დარწმუნდება, რომ მოვალის მოქმედებაში არ მოიპოვება სიციალურად საშიში ქმედობის ნიშნები, გამოიტანს დადგენილებას ლიკ-

ვიდაციის დამთავრებისა და მოვალის უფლებების აღდგენის შესახებ (მე-9 მუხ. „ვ“ პუნქტი), რასაც აცნობებს სავაჭრო რეგისტრაციის სათანადო ორგანოს.

პუბლიკაცია სასამართლოს დადგენილებისა ლიკვიდაციის შესახებ უნდა მოხდეს იმავე წესით, რაც მიღებულია არაშემძლედ გამოცხადებისათვის (მუხ. 8).

34. უკეთუ კრედიტორს არ მიუღია სრული დაკმაყოფილება ლიკვიდაციის პროცესში, მას უფლება აქვს სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადაზე მიაქციოს მიუღებელი ნაწილის გადახდევინება მოვალის იმ ქონებას, რაც მას შეიძლება მომავალში აღმოაჩნდეს.

ᲗᲐᲠᲘ VII.

კრედიტორის პრეტენზიის შემცირება, ვადის გადადება, ვადის განაწილება და დაკმაყოფილება.

35. უკეთუ ისეთი სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის არსებობა დაკავშირებულია სახელმწიფოს ინტერესებთან, უსახსრობის გამო ვერ შესძლებს ვალების გადახდას (სამ. სამ. საპრ. კოდ. 266[5]-მუხ. შენიშვნა), სასამართლოს შეუძლიან, ამ საწარმოს შესანარჩუნებლად და მისი საქმეების აღსადგენად შექმნას განსაკუთრებული სამმართველო.

განსაკუთრებულ სამმართველოს უფლება ეძლევა შეამციროს საწარმოს ვალები და გადასდოს ან გაანაწილოს მათი გადახდის ვადა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამა კარის შემდეგ მუხლებში.

36. განსაკუთრებული სამმართველო დაარსდება მე-3 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოების შუამდგომლობით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა პრეტენზიების თანდათანობითი დაკმაყოფილების გეგმა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ ორგანოებს დაევალებათ აგრეთვე წარადგინონ სასამართლოში კანდიდატები განსაკუთრებულ სამმართველოს წევრებად.

37. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში: ა) უკეთუ პირველი კატეგორიის პრეტენზიები (მუხ. 266[1]) სავსებით იქნება დაკმაყოფილებული; ბ) უკეთუ იმ ვალის გადახდის ვადის გადადებისა ან განაწილებისათვის, რაც წარმოშობილია სახელმწიფო გადასახადისა, გამოსაღებისა და სოციალური დაზღვევის თანხების გადაუხდელობით, აგრეთვე მათი ნარჩენის ნაწილობრივი მოხსნისათვის, მიღებულ იქნება თანხმობა ფინანსთა ან შრომის სახალხო კომისარიატებისა, კუთვნილებისამგრ.

38. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა არაშემძლედ ცნობის შემდეგ არ შეიძლება.

39. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს სათანადოდ ამა დანაერთის 1-8 მუხ.

უკეთუ სასამართლო უარყოფით გადასწყვეტს განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების საკითხს, მას შეუძლიან, საქმეში მონაწილე პირთა ან ორგანოთა თხოვნით, დაუყოვნებლივ გამოიტანოს დადგენილება არაშემძლედ ცნობისა და ლიკვიდატორების დანიშვნის შესახებ.

40. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების შემდეგ საწარმოს გამგებლობა მოვალის ხელიდან ამ სამმართველოზე გადადის. ამ დროიდან აღარ შეიძლება არც შეკრა, არც იძულებითი შესრულება, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისე უდავო გადახდების წესით, ცალკე კრედიტორების სასარგებლოდ, ისეთი პრეტენზიების გამო, რაც წარმოშობილია განსაკუთრებული სამმართველოს დაარსებამდე, პირველი კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) გარდა.

განსაკუთრებული სამმართველოს დაარსებამდე აღძრული პრეტენზიების დაკმაყოფილება, პირველი კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 266[1]) გარდა, მოხდება სასამართლოს მიერ განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების დროს დამტკიცებული გეგმის მიხედვით; ამასთანავე, ეს გეგმა შედგენილ უნდა იქნეს 266[1]—266[5] მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით.

41. თავის სამეურნეო მოქმედების მხრით განსაკუთრებული სამმართველო ექვემდებარება 3 მუხ. „გ“ პუნქტში გათვალისწინებულ სახელმწიფო ორგანოს, ილებს მისგან საჭირო დირექტივებს და ურდგენს მას თავისი მუშაობის ანგარიშს.

42. უკეთუ მოვალე, რომლის საწარმოც განსაკუთრებულ სამმართველოს გადაეცა, სააქციო საზოგადოებაა ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა ამ საზოგადოების ან ამხანაგობის წევრთა საერთო კრების უფლებამოსილობა შეჩერდება მთლად იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე აღნიშნული სამმართველო იმოქმედებს.

ხოლო, ამასთანავე, განსაკუთრებული სამმართველო მოვალეა ექვს თვეში ერთხელ მაინც მოიწვიოს ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოებისა ან ამხანაგობის წევრთა საერთო კრება და მოახსენოს მას საწარმოს საქმეთა მდგომარეობა.

43. განსაკუთრებული სამმართველო გაუქმდება:

1) კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ და 2) იმ სახელმწიფო ორგანოს წარდგენით, რომელიც ამ სამმართველოს განაგებს.

შენიშვნა 1. ამა მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნეს ამა დანართის 32 მუხლი.

შენიშვნა 2. ამა მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უკეთუ კრედიტორებს არ მიუღიათ სრული დაკმაყოფილება ვადადადაცილებულ პრეტენზიებით, მათ უფლება ეძლევათ აღძრან საერთო საფუძველზე საქმე საწარმოს არაშემძლეობის შესახებ.

44. განსაკუთრებული სამმართველოს მოქმედებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო დაადგენს ამ სამართველოს გაუქმებას ან მისი მოქმედების ვადის განგრძობას, რის შესახებაც უნდა მოხდეს სათანადო პუბლიკაცია.

V.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის 1-ლ მუხლს დაემატოს პუნქტი „პ“ შემდეგი შინაარსისა:

„პ) საავტორო უფლება, იმ შემოსავლის გარდა, რაც მიიღება საავტორო უფლების განხორციელებით“.

VI.

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება „სახალხო სასამართლოს შრომითი სესიების გადაწყვეტილებათა განსაჩივრების ვადისა და აღნიშნულ გადაწყვეტილებათა აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულების შეჩერების წესის შესახებ" (საქართველოს სსრ კან. კრ. 1923 წ. 2 №-რი, მუხ. 14).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **თენგიზ ყულიტა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. ივლისის 11.
ტფილისი—სასახლე.

---

197. დადგენილება ც.ა.კ. და ხ.კ.ს.

ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

რათა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წ. იანვრის 29-ს თარიღისა და მე-10 №-ის დადგენილებით (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 18) დამტკიცებული ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულება შეთანხმებულ იქნეს ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ 1929 წ. იანვრის 9-ს თარიღით გამოცემულ ძირითად დებულებებთან (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 27),—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ზემოაღნიშნულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. აღნიშნულ დებულებას დაემატოს 16^1, 16^2, 16^3 და 16^4 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 16^1. უცხოეთისა და საობლიგაციო სესხის აღება საქალაქო საბჭოს შეუძლიან მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, რაც გამოთხოვნილ უნდა იქნეს, არსებული წესისამებრ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით".

„მუხ. 16^2. აღებული სესხისათვის საქალაქო საბჭო პასუხს აგებს მთელი თავისი შემოსავლით და ყველა ისეთი ქონებით, რაც მის გამგებლობაშია და რაზედაც, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება გადახდევინების მიქცევა. საერთო-სახელმწიფოებრივი სახსარი და ქონება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს საქალაქო საბჭოს მიერ აღებული სესხისათვის პასუხისმგებლობის ობიექტად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხ. 16**[3]. საქალაქო საბჭოს შეუძლიან აიღოს სესხი აგრეთვე ისე, რომ სპეციალურად უზრუნველყოს ეს სესხი ამა თუ იმ ცალკე შემოსავლით ან ქონებით, რაც ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს სესხის აღების დროს; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს მომქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო ქონების დაგირავების შესახებ. იმ შემოსავალს, რომლითაც სპეციალურად უზრუნველყოფილია სესხი, არ შეიძლება მიეცეს სხვა რამ დანიშნულება. სპეციალიტო გადანაწილების წესით, სესხის სრულ დაფარვამდე“.

„**მუხ. 16**[4]. სესხის აღება ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად არ შეიძლება. სესხს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება“.

2. ზემოაღნიშნული დებულების მე-16 მუხლის „ი“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სარგებლობს უფლებას, კანონით განსაზღვრული წესისამებრ და ამა დებულების მე-16[1]—16[4] მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით, აიღოს სესხი სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებაში, აგრეთვე კერძო პირისაგან, როგორც სსრკ-ში, ისე უცხოეთში, თამასუქითა და სხვა გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ვალდებულებით, აგრეთვე ობლიგაციების გამოშვებით“.

3. ზემოაღნიშნული დებულების 17 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ეწევა მის გამგებლობაში ქონებული მიწისა, საწარმოს და სხვა ქონების ექსპლოატაციას, როგორც საბიუჯეტო წესისამებრ, ისე კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე, ან იჯარად გაცემით“.

4. იმავე დებულების მე-17 მუხლს დაემატოს პუნქტი „ზ“ და 1-ლი და მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„ზ) ასხვისებს ქონებას, რაც მის გამგებლობაშია, სახელმწიფო ქონების გასხვისებისათვის კანონით დადგენილი წესისამებრ“.

„**შენიშვნა 1**. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მოწყობისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საამისო სპეციალური კანონებით“.

„**შენიშვნა 2**. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების კონცესიად გაცემის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **ხ. თოდრია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულურია**.

1929 წ. აგვისტოს 26.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

198. დადგენილება ს.ა.კ. და ს.ტ.ს.

სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მომქმედი საამხანაგო სასამართლოების შესახებ.

სასამართლოს წყობილების დებულებით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს წყობილების საერთო სისტემისა და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საერთო წესის გამონაკლისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

1. იმ სისხლის სამართლის საქმეების გადასაწყვეტად, რაც სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, ხოლო არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებით დამყარებულ მართლწესრიგს—საფაბრიკო-საქარხანო საწარმოში და აგრეთვე სხვა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში შეიძლება მოწყობილ იქნეს საამხანაგო სასამართლოები.

შენიშვნა. იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, სადაც საამხანაგო სასამართლოები უნდა მოეწყოს, შეადგენს იუსტიციის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

2. საამხანაგო სასამართლოების მოწყობა დაეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატს სათანადო პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ გამგეობასთან ერთად.

3. საამხანაგო სასამართლო შესდგება თავმჯდომარისა და ორი მორიგი სახალხო მსაჯულისაგან. საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარეს და ორ სახალხო მსაჯულს აარჩევს ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება 6 თვით; ივიეე საერთო კრება იმავე ვადით აარჩევს სახალხო მსაჯულთა ორ კანდიდატს იმ შემთხვევისათვის, უკეთუ სახალხო მსაჯულნი ავად ყოფიხდენიან ან ვერ დაესწრებიან საამხანაგო სასამართლოს სხდომას; ამასთანავე საერთო კრებას შეუძლიან როგორც თავმჯდომარე, ისე სახალხო მსაჯულნი და კანდიდატები უკანენ გაიწვიოს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

შენიშვნა. კანდიტატების რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნეს საერთო კრების დადგენილებით. იმ შემთხვევისათვის—ვინცობაა საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარე ხანგრძლივად ავად გახდეს ან სხვაგან წავიდეს, საერთო კრებას შეუძლიან აარჩიოს თავმჯდომარის მოდგილე.

4. საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარება:

ა) საქმე მოქმედებით შეურაცხოფის შესახებ, როცა ეს მოქმედება არ არის დაკავშირებული ფიზიკური ტკივილის მიყენებასთან, და აგრეთვე საქმე სიტყვიერი ან წერილობითი შეურაცხოფის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 174 მუხ.);

ბ) საქმე ისეთი შეურაცყოფის შესახებ, რაც მიყენებული იქნება გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებით ან ნახატებით (სისხ. სამ. კოდ. 175 მუხ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქმე ცილისწამების შესახებ, ე. ი. ამა თუ იმ პირის მიმართ წინასწარი შეცნობით ტყუილი (გამოგონილი) და გამაწბილებელი ცნობების სიტყვიერი გავრცელებისა ან ამ ცნობების ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებში ან სხვა-გვარად გამოაქვეყნებულ ნაწარმოებში გამოქვეყნების შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 176 მუხ.).

დ) საქმე განზრახ გარტყმისა, ცემისა ან სხვა ისეთი ძალადობის შესახებ, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, უკეთუ ამ მოქმედებას ბეგემის ხასიათი არ ჰქონდა და შედეგად არ მოჰყვა სხეულის რაიმე დაზიანება (სისხ. სამ. კოდ. 158 მუხ. 1 ნაწ.);

ე) საქმე პირველად ჩადენილი ხულიგნობის შესახებ, რომელსაც თან არ სდევდა ზლვგრობა ან უხამსობა და რომელსაც განსაკუთრებულ თავხედური ან ცინიკური ხასიათი არა აქვს, ე. ი. საქმე თავ-აწყვეტილი მოქმედების შესახებ, რასაც თანა სდევს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა (სისხ. სამ. კოდ. 75 მუხ. 1 ნაწ.)

5. წინა მუხლში (მე-4 მუხ.) აღნიშნული საქმეები განიხილება საამხანაგო სასამართლოში მიუხედავად იმისა, ჩადენილია სასამართლოში განსახილველი მოქმედება უწყვეტული საწარმოს ან დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ ამ ტერიტორიის გარეშე. შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბრალდებული და დაზარალებული ეკუთვნიან ერთი და იმავე საწარმოს ან დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს;

ბ) როცა ის პირი, ვისაც ხულიგნობა ბრალდება (მე-4 მუხ. პ. „ე“) ეკუთვნის იმ საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს, სადაც მოწყობილია საამხანაგო სასამართლო;

გ) როცა დაზარალებული, რომელიც უწყვეტული საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს არ ეკუთვნის, განაცხადებს, რომ საქმე განხილულ იქნეს იმ საწარმოს თუ დაწესებულების საამხანაგო სასამართლოში, სადაც ბრალდებული მუშაობს.

6. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული, საამხანაგო სასამართლოს ქვემდებარე დანაშაულის გარდა (მუხ. 4), იმავე დროს ჩაიდენს სხვა დანაშაულსაც, რომელიც ხსენებულ სასამართლოს არ ექვემდებარება, ან როდესაც დაზარალებულთა შორის, მე-5 მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა, სხვა პირებიც აღმოჩნდება მთელი საქმე გადაეცემა განსახილველად საერთო სასამართლო ორგანოებს, აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ საამხანაგო სასამართლო სცნობს, რომ განსახილველი საქმე, თუმცა მას ექვემდებარება (მე-4 და მე-5 მუხ.), მაგრამ თავისი ხასიათით მოითხოვს ბრალდებულისათვის იმაზე უფრო მკაცრი ღონისძიების შეფარდებას, ვიდრე ის ღონისძიება, რომლის შეფარდებაც საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან (მუხ. 16), იგი გადასცემს ამ საქმეს განსახილველად საერთო სასამართლო დაწესებულებას.

7. საამხანაგო სასამართლოს არ ექვემდებარება ისეთი საქმე, როდესაც ბრალდებულად და დაზარალებულად არიან ის პირნი, რომელნიც სამსახურებრივი ხელქვეითობის ურთიერთობაში იმყოფებიან, და აგრეთვე საქმე საწარმოს მუშებსა და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის პირთა შორის, უკეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს მიერ განსახილველი მოქმედება წარმოიშვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ მოვალეობის შესრულების გამო.

8. საამხანაგო სასამართლოში საქმე აღიძვრის დაზარალებულის სიტყვიერი ან წერილობითი საჩივრით, ან იმ საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფის განცხადებით, სადაც ბრალდებული მუშაობს, ან და თვით საამხანაგო სასამართლოს თაოსნობით.

9. საამხანაგო სასამართლოში საქმის აღძვრა შეიძლება მხოლოდ ორი თვის განმავლობაში იმ ქმედობის ჩადენის დღიდან, რომელიც აღნიშნულ სასამართლოს ექვემდებარება.

10. ყოველი საქმე საამხანაგო სასამართლოში უნდა დამთავრდეს შვიდი დღის განმავლობაში საჩივრის შეტანისა ან საქმის აღძვრის დღიდან.

11. საამხანაგო სასამართლოს სხდომა შესდგება საჯაროდ არა სამუშაო დროს. საამხანაგო სასამართლოს სხდომის დრო უნდა ეცნობოს სათანადო საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთ და მათ ოჯახთ.

12. საქმის განხილვა საამხანაგო სასამართლოში სწარმოებს მარტივი წესით და რაიმე საპროცესო ფორმების დაცვა სავალდებულო არ არის. იმ მიზნით, რათა საქმე რაც შეიძლება სრულად და ყოველმხრივად იქნეს განხილული, საამხანაგო სასამართლოს უფლება აქვს შეკრიფოს დამატებითი ცნობები, დაიბაროს დასაკითხავად მოწმეები და დაჰკითხოს სხდომაზე დამსწრე პირთ, რომლებმაც შეიძლება იცოდნენ საქმის გარემოება ან რომელნიც თითონ მოისურვებენ საქმის გამო ჩვენების მიცემას. საამხანაგო სასამართლო ვალდებულია დაიბაროს სხდომისათვის ბრალდებული და დაზარალებული და მოისმინოს მათი ახსნა-განმარტება, ხოლო უკეთუ ბრალდებული მოისურვებს—მისცეს მას უკანასკნელი სიტყვა. საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან, დადგენილების გამოტანამდე ნება დართოს, რომ დამსწრე მუშა-მოსამსახურეებს შორის მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

13. უკეთუ ბრალდებული ან დაზარალებული სხდომაზე არ გამოცხადდა, საქმე გადაიდება და განიხილება შემდეგ სხდომაში იმისდა მიუხედავათ—გამოცხადდებიან მხარენი თუ არა. უკეთუ საამხანაგო სასამართლო სცნობს, რომ ბრალდებულის თუ დაზარალებულის მეორედ გამოუცხადებლობის მიზეზი პატივსადებია, მას უფლება აქვს, ერთ-ერთი მხარის თხოვნით, კვლავ გადადვას საქმის განხილვა.

14. უკეთუ დაზარალებული აღძრავს საქმეს შეურაცყოფისა (მე-4 მუხ. პ. „ა“ და „ბ“) ან ძალადობის ჩადენის შესახებ (მე-4 მუხ. პ. „ღ“), საამხანაგო სასამართლო ვალდებულია იხმაროს ყოველი ღონისძიება მხარეთა შესარიგებლად და ეცადოს, რათა ამხანაგური ახსნა-განმარტებით და ზეგავლენით არა თუ მოსპოს კონფლიქტი, არამედ აღკვეთოს მისი ხელახლა აღმოცენის შესაძლებლობაც.

15. საამხანაგო სასამართლოს დადგენილება გამოიტანება ხმის უმეტესობით, შესდგება წერილობით მოკლედ და გამოცხადდება საჯარო სხდომაზე.

16. უკეთუ ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი, საამხანაგო სასამართლო შეუფარდებს მას ამხანაგური ზეგავლენის ერთ-ერთ შემდეგ ღონის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებას: ა) ამხანაგური გაფრთხილება, ბ) საზოგადოებრივი გაკიცხვა პრესაში გამოქვეყნებით ან უამისოდ და გ) ჯარიმა 50 კაპეიკიდან 10 მანეთამდე რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის (რემედასი, თავდაცვა-ავიაქიმი, ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოება, წერკეშსი და სხვ.) სასარგებლოდ.

შენიშვნა. ჯარიმად გადახდეულებული ფულის განაწილება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მოხდება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილებით.

17. საამხანაგო სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

18. უკეთუ საამხანაგო სასამართლო მიიღებს განსახილველად ისეთ საქმეს, რაც მას არ ექვემდებარება, ან შეუფარდებს დამნაშავეს ზეგავლენის ისეთ ღონისძიებას, რომლის შეფარდების უფლებაც მას არა აქვს, პროკურატურის ორგანო შეიჩერებს საამხანაგო სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოყვანას და პირველ შემთხვევაში—გადასცემს საქმეს საერთო წესისამებრ განსახილველად სათანადო სასამართლოს, ხოლო მეორე შემთხვევაში—დაუბრუნებს საქმეს იმავე საამხანაგო სასამართლოს გადასახდელის დადგენილი ღონისძიების გადასაწყვეტად.

19. საამხანაგო სასამართლოს მიერ დადებულ ჯარიმას საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ მსჯავრდადებულს სამუშაო ხელფასიდან—სამ. სამ. საპრ. კოდ. 290 და 291 მუხლში აღნიშნული წესების დაცვით; ამასთანავე საამხანაგო სასამართლოს უფლება აქვს გაანაწილოს ჯარიმის გადახდის ვადა.

20. ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა საამხანაგო სასამართლოების მოქმედებისათვის დაეკისრება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

II

წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით მოაწყოს, ცდის სახით, ქალ. ტფილისის ზოგიერთ საქარხნო-საფაბრიკო საწარმოში ამა დადგენილების 1-ლი კარით გათვალისწინებული საამხანაგო სასამართლოები და სამი თვის განავლის შემდეგ მოახსენოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული სასამართლოების მოქმედების შედეგი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ს. თოდრია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩოლორია.**

1929 წ. აგვისტოს 26.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

199. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.კ.ს.

საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაცია.

2. ყველა დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო პირი, ვისაც საფოსტო მტრედები ჰყავს, ვალდებულია ეს მტრედები გაატაროს რეგისტრაციაში ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ხოლო შემდეგში, შეძენილი მტრედების რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა შეძენის დღიდან, მტრედების ბარტყებისა კი—გამოზრდის დღიდან.

3. ქ. ტფილისსა და მის მიდამოებში საფოსტო მტრედების რეგისტრაცია მოხდება აეროქიმის საზოგადოების ტფილისის საბჭოში, ხოლო მაზრებში—ამ საზოგადოების სამაზრო ორგანიზაციებში.

4. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და კერძო პირი, ვისთანაც სხვისი საფოსტო მტრედი (დაკერილი, ეული და სხვ.) აღმოჩნდება, ვალდებულია ეს მტრედი გადასცეს აეროქიმის საზოგადოების უახლოეს ორგანიზაციას ან უახლოეს სამილიციო რაიონის სამმართველოს.

5. რეგისტრაციაშ იგაუტარებლად საფოსტო ფრინველის ყოლა აკრძალულია.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს ადმინისტრატიული წესით დაედება ადმინისტრატიული გადასახდელი—იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა ას მანეთამდე; ამ გადასახდელს დადებს სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს,—სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსი იმ წესით, რომლითაც დაიდება ადმინისტრატიული გადასახდელი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

7. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 211 №-ში 1929 წ. სექტემბრის 13.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1509 დაიბეჭდა 1.250.